

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 433) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეს 65 წლის ასაკის მიღწევას ენიშნება კომპენსაცია, თუ მას უფლებამოსილება შეუწყდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ზ“ ან „კ“-„ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით. ამასთან, მოსამართლეს კომპენსაცია დაენიშნება, თუ იგი საერთო სასამართლოს მოსამართლედ გამწესებული იყო და იმსახურა არანაკლებ 10 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსამართლეს სამოსამართლო უფლებამოსილება შეუწყდა 65 წლის ასაკის მიღწევის, სასამართლოს ლიკვიდაციის ან მოსამართლის თანამდებობის შემცირების გამო.“.

მუხლი 2. თანამდებობაზე 10 წლის ვადით დანიშნულ მოსამართლეებს კომპენსაცია დაენიშნებათ ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული წესით.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის საქართველოს კონსტიტუციისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროება, რომელიც უკავშირდება მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნას. კანონპროექტის მიღება ასევე განპირობებულია კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს კონსტიტუციასა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედ რედაქციასთან და აღმოფხვრას კანონში არსებული ხარვეზები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ცვლილება შედის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეს 65 წლის ასაკის მიღწევასა ენიშნება კომპენსაცია, თუ მას უფლებამოსილება შეუწყდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ზ“ ან „კ“-„ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით. აღნიშნული საფუძვლებია:

- პირადი განცხადება;
- სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ აღიარება;
- 65 წლის ასაკის მიღწევა;
- სასამართლოს ლიკვიდაცია, მოსამართლის თანამდებობის შემცირება;
- სხვა სასამართლოში დანიშვნა (არჩევა);
- სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა;
- უფლებამოსილების ვადის გასვლა.

ამასთან, როდესაც მოსამართლეს სამოსამართლო უფლებამოსილება შეუწყდა 65 წლის ასაკის მიღწევას, სასამართლოს ლიკვიდაციის ან მოსამართლის თანამდებობის შემცირების გამო, მას კომპენსაცია დაენიშნება ნამსახურობის წლების მიუხედავად, რაც

გამომდინარეობს სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტის აღნიშნული საფუძვლების ბუნებიდან და დატვირთვიდან. სხვა დანარჩენ შემთხვევებში მოსამართლეს კომპენსაცია დაენიშნება, თუ იგი საერთო სასამართლოს მოსამართლედ გამწესებული იყო და იმსახურა მოსამართლედ არანაკლებ 10 წლის განმავლობაში.

რაც შეეხება ამ კანონის ამოქმედებამდე უფლებამოსილების ვადით დანიშნულ მოსამართლეებს, მათ კომპენსაცია დაენიშნებათ კანონის ამოქმედებამდე არსებული წესით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ცვლილებას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსური შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

**„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“
საქართველოს კანონის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი
კანონპროექტით შედის ცვლილება**

**მუხლი 12. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კომპენსაციის
გაანგარიშება**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეს 65 წლის ასაკის მიღწევისას ენიშნება კომპენსაცია, თუ:

- ა) დაუმთავრდა სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა;
- ბ) უფლებამოსილება შეუწყდა სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში ან საპენსიო ასაკის მიღწევის გამო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის ოდენობაა მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში განსაზღვრული საშუალო თანამდებობრივი სარგოს 3%-ის ნამრავლი საერთო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის სტაჟზე.